სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურთ ქარვასლა
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-დან „წ.-კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 2 მან. 50 კაპ.

სალომე ოჩანის ასული და გრიგოლ დიმიტრის ძე ელიზბაროვნი, ეფემია დიმიტრის ასული და თევდორე ივანეს ძე ლაშქაროვნი, ანნა დიმიტრის ასული და ივანე გრიგოლის ძე მჭედლოვნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისას მეორენი ძმისას და მესამენი ცოლის ძმისას

**აბრაამ დიმიტრის ძის ელიზბაროვისას**

განსვენებულის გვამს სადგომიდან (ჩუღურეთი) თ. ლაშქაროვის სახ. წაასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში კვირას, 26 სექტემბერს. პანაშვიდი ყოველ დღეა, საღამოს 7 საათზედ.

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი



**ქეფირი და კუმისი**




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ დ. კორთხასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—78)
დ. კორთხა.

მ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის

**იაფი გაჭრობა**

იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.

ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში, იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.

იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე“ „ვეფხის ტყაოსანის“ სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი.
(20—13)

**წიგნის მაღაზია**
**მიხეილ გაჩეჩილაძისა**

დ. ყვირილაში მივიღეთ ახლად რუსული და ქართული სახელმძღვანელო წიგნები სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებელი.

აგრეთვე გვაქვს დამზადებული დიდძალი რვეულები საუკეთესო ქაღალდზე დახაზული ქართულის და რუსული წერისათვის.

ყოველივე სამოსწავლო საგნებს ვყიდით ძალიან დაკლებულ ფასად განსაკუთრებით იაფად უთმობთ სოფლის მასწავლებლებს.
(10—10)

კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო

**საზოგადო კრება**

ქართველთა სააღებ-მიცემო ამხანაგობის

**„შუამავლისა“**

განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას ცალ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი წევრი დაესწრობა მას, კრება კანონიერად ჩაითვლება.
(3—3)

სამკურნალო და ამბულატორია

**ს. ბ. თოფურიასი**

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანი, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

ვენერიულ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს ზ. კ. გერასტი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოზანი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია

Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

—

*** სასიამოვნო მაგალითი. გორის მემამულეებმა გამოიწერეს საუკეთესო ხორბალი სათესლეთ ყუბანიდან და ბორჩალოს მაზრიდან გასავრცელებლად თავიანთ მამულში. სასურველია ამ მაგალითს სხვა მაზრების მემამულეებმაც მიჰბაძონ.

*** ქართველთა ახალგაზრდა მომღერალი ჩვენი მომღერალი ილია გარგარეთელი წელს მთელის სეზონით მიწვეული არის ტფილისის ოპერაში.

*** ახალი დანიშნულება. ტფილისის კადეტთა კორპუსის დირექტორი სმირნოვი გადაყვანილ იქმნა მოსკოვში.

ყარსის ოლქის გუბერნატორი ოდინცოვი გაემგზავრა ბაქოსაკენ თავის მოვალეობის აღსასრულებლად, სადაც გუბერნატორად არის დანიშნული.

*** გზათა მინისტრის ჩამობრძანება. გუშინ, 24 სექტემბერს, გზათა მინისტრი მ. ი. ხილკოვი ჩამობრძანდა ტფილისში და ჩამოხტა „ლონდონის“ სასტუმროში.

*** მემამულეთა შესახებ ყველამ კარგათ იცის, რომ ყოველი მემამულე იხდის ხარჯს სახელმწიფოს სასარგებლოდ იმის და გვარად რამდენი მამულიცა აქვს, მაგალითად დღიურზე 3 კაპეიკს. ეს ხარჯი დღემდის ადრევე გაწერილია მემამულეებზე და ყოველი მემამულე იხდის ამ ფულს ძველივე გაწერილობით. მაგალითებია ამისთანა: 1) ოჯახში ორი ძმანი იყვნენ, გაიყარნენ: ერთი ძმა იხდის წელიწადში 120 მანეთს, მეორე 1400 მან., რა არის აქ მიზეზი? მამული თანასწორი აქვთ. 2) მემამულე იძლევდა ხარჯს 1000 მანეთს ეს მამული გაეყიდა, შეიძინა სხვამ და ისევ ძველი მემკვიდრე აძლევს და ახალი კი განთავისუფლებულია, თუმცა კი მამულით სარგებლობს.

ამ მამულზე ბევრნაირი საჩივრები გაიმართა, მაგრამ დღემდის ყურადღებას არ აქცევდნენ ამ საქმის გამორკვევას, ეხლა კი ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით ამ ცოტა ხანში უნდა გამოირკვეს ეს საქმე და ყველა მემამულეს წესიერი ხარჯი დაედოს.

*** საფრანგეთის მომავალის წლის გამოფენაზე. ვატყობინებთ მკითხველებს, რომ ტფილისში შესდგა კომიტეტი ქუთაისის და ტფილი-

სის გუბერნიების მემამულეთა დახმარებისათვის გასავრცელებლად და წარსადგენად 1900 წლის პარიზის გამოფენაზე სხვა და სხვა ჩვენებური საგნების და მოსავლისა. ეს კომიტეტი იმყოფება თავად-აზნაურთა ქარვასლაში და ყოველს მემამულეს, ამ ხსენებულ გუბერნიებისა ნება აქვს გაუგზავნოს ყველანაირი საგანი ან წლიური მოსავალი, რომელიც ღირსი იქნება წარსადგენათ გამოფენაზე, ამ საგნებს კომიტეტი იღებს მხოლოდ 1 ამ თვემდის და თავის დროზედ წარადგენს გამოფენაში, სადაც ყოველი საგანი გამოიკვლევა და ღირსეული პასუხი მოუვა მემამულეს.

სასურველია, ჩვენი მემამულეები დაფაცურდნენ და სასურველი შემწეობა აღმოუჩინონ ამ კომიტეტს, რომელიც არავითარ ხარჯს არ ითხოვს და დანიშნულებათა აქვს მხოლოდ ის, რომ დაეხმაროს ჩვენს მემამულეებს.

რომელ მემამულესაც არ შეუძლიან რამე მიაწოდოს ამ კომიტეტს, მაინცა და მაინც სასურველია, შეატყობინოს თავის მეზობლებზე, რომლებსაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ გამოფენაზე.

კომიტეტს განაგებს ბ-ნი რ. ისარლოვი, რომელმაც იკისრა გამოფენას დაესწროს თავისი ხარჯით და ყოველნაირი დახმარება აღმოჩინოს გამოფენაზე ჩვენებური საგნების და მოსავლის გავრცელებას.

ერგნელი.

*** თავ. მუხრან-ბატონისა და პლიუშჩევსკის მემკვიდრეთა საქმე. გუშინ სამოსამართლო პალატამ გააუქმა ოლქის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც თავ. მუხრან-ბატონის მამულის გასყიდვის აკრძალვა იყო დადებული პლიუშჩევსკის საჩივრის გამო, მუხრან-ბატონის მხრით საქმეს იცავდა ნაფიცი ვექილი გუნცაძე და მოწინაამდეგისა ბ. შონი. სამოსამართლო პალატამ უსაფუძვლოდ დაინახა ვექილი შონისაგან მოყვანილი მოსაზრებანი.

*** დოლი ტფილისში. საშემოდგომო დოლი იქნება წელს ტფილისში დიდუბის მინდორზე 17 და 21 ღვინობისთვეს.

*** ზეპირ-სიტყვაობის შეკრების შესახებ. აგერ 25 წლიწადი მოდის, რაც რომ ზეპირსიტყვაობის შეკრება ვსთქვით და ამ ხანში ვმოქმედობთ კიდეც, მაგრამ არა შვეულარი საქმის განხორციელებასა. მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს რომ ჩვენს მოქმედებას საფანელი აკლდა, ზოგჯერაც მეტი მოსდის და ქარალზე კ. ვერასდროს ვერ ვუსაფანლებთ და მით საქმეს ვაფერხებთ.

20 წელიწადზე მეტია რაც რომ წერა-კითხვის საზოგადოებამ დაავალა სოფლის მასწავლებელთ ამის შეკრება, მაგრამ იმათ არა ესმოდათრა ზეპირ-სიტყვაობის მნიშვნელობა და არ ექანებოდენ საქმეზედ. განა რა გასამტყუნარნი იყვნენ: „არ ცოდნა არ ცოდვაო".

შემდეგ ამისა საზოგადოებამ მცირე საფარი შეიძლო გაეცა ამის შესაკრებათ, მაგრამ დიდი ფული რომ ვერ შეიძლო, არც ასე მოხერხდა. ქართველმა ხალხმა რომ შეიგნო მნიშვნელობა ზეპირ-სიტყვაობის, განუხორციელებელ საქმის განხორციელებას დაუკვნენ, კაიმეტეს ორიოდე გროში დააარსეს ფონდი 1000 მანეთამდინაც შეკრიბეს, მაგრამ, რა რომ მოიავე და მოსაქმე ვერ ნახეს, შეწყვიტეს მოქმედება და საქმე დასახიჩრდა, ასე რომ არც შეკრებაში და არც შეუკრებლობაში ჩავარდა, ახლა-კი მივხვდით, რომ საქმე აღარ კეთდება. ყველა აზრმა და მოქმედებამ გვიღალატა და უიმედობაში ჩავარდით ჩვენი უკანასკნელი ხოლო ერთი-და, ერთი-და ცდა დაგვრჩენია, ისიც თუ აღარ მოვვიხერხდა, მაშინ მშვიდობით!!.. ხოლო იმას მოვიხსენიებ, რომ პირველი საქმე მეთაურობაა და მეთაურობის საშვალებით კი ისე საქმე გასწორდება და ჩვენი სასო-წარკვეთილებაში ჩავარდნილი უიმედოიმედობის ჩარხი კი წაღმა მოგვატრიალდება, და მაშინ ვაშა ჩვენ საქმეს! საჭიროა ვეცადოთ ასე: „დავაარსოთ ძმობა" (და მით ერთობა) რომელიც შეიძენს დამხმარეთ წლიური გადასახადებით და იმ ფულით შეიკრიბება და დაიბეჭდება ყოველი ჩვენი ზეპირ-სიტყვაობა. ამის შესახებ პროექტი სდგება, რომელსაც ამ ცოტა ხანში განუზიარებთ ქართველ ერსა და მივაწვდით გაზეთის საშვალებით.

ეს აზრი გაუმჟღავნეთ ზოგიერთ პირებს. ოზურგეთში, ბათომში, ქუთაისში, ტფილისში, ახალ-ციხეში და სხვაგან ყველას ესიამოვნა და ერთხმით ყველამ აღგვითქვა დახმარება ყოველ ნაირათ აღმოგვიჩინონ, იმედია დანარჩენნიც წაბაძავენ პირველებს.

მესხი კ. გვარამაძე

*** სოჩა. ჩვენებური უსაქმურობა. ბევრჯელ თქმულა გაზეთებში: ჩვენ ისე ვერაფერს ვერ გავაკეთებთ, რომ ყვირილით ცა და ქვეყანა არ გადავაყრუოთო. ვინ არ იცის, რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ საქმე ის არის, თუ რამდენად საფუძვლიანია ეს ჭეშმარიტება. გაკეთდება ჩვენში წყნარათ, მშვიდობიანათ, ქვეყნის შეუწუხებლად რამე საზოგადო საქმე?—არა! რა არის ამის მიზეზი?--ის, რომ ჩვენ არა ვართ მომზადებული ამისთვის, ის, რომ ჩვენ არ გვაქვს იმდენი შეგნება, არ გვაქვს ერთობა, არ გვცხია ის მირონი, რომ შევითვისოთ, გავითვალისწინოთ მთელი სარგებლობა ისეთ დაწესებულებისა, რომელსაც საზოგადო ხასიათი აქვს და რომლისთვისაც ჩვენ იმდენ ყვირილს და აურ-ზაურს ვტეხავთ ხოლმე. რომ არ იყვირო ვერაფერს ვერ გააკეთებ და რადგანაც შრომა, მეცადინეობა, რამის გაკეთება აუცილებელი საჭირო ადამიანის არსებობაში, ამისთვის გვერდს ვერ აუხვევ ამ უბრალო კანონს და იძულებული ხარ იყვირო იქ, სადაც სიჩუმე არ გაგიდის. ავიღოთ მაგალითად თუგინდა ეს ჩვენი საჭირ-ბოროტო აფთიაქის მაღაზია. მკითხველს ეგონება ამდენს რომ ყვირიან იმ აფთიაქის მაღაზიისათვის, ალბათ დიდი საქმე უნდა იყოსო. ჩვენდა სასირცხვილოდ, უნდა გამოვიტყდეთ, ბატონებო, რომ ეს პატარა საქმეა და ძრიელ პატარაც. ას თუმანს არ გადასცილდება, მხოლოდ ჩვენ ვპირდებით საზოგადოებას ამ პატარა საქმის გადიდებას. რა ნაირი თვალით უკქერის მას საზოგადოება, რა თანაგრძნობას უწევს ის ამ საქმეს?! რომ პასუხი მივცეთ ამ კითხვებს, საჭიროა ჯერ გავიცნოთ თუ რა ნაირი საზოგადოებაა აქ და რა არის მიზანი მათის ცხოვრებისა. უმთავრესი პუნქტი აქაურ ალებ-მიცემობისა ჩვენ ხალხს უჭირავს და ბევრ მათგანს კარგი კაპიტალიც აქვს. რომ მათი მდგომარეობა, მათი მოქმედება, მათი მოქალაქობრიობა გაიცნოთ საჭიროა, მუდამ თვალ-ყურს ადევნებდეთ და სცხოვრობდეთ მათში და რადგანაც მე ეს მარგუნა ბედმა ხვედრად, ამისთვის რამდენ მეტს უკვირდები მათ, იმდენად უფრო ვრცელ ადგილს იჭერს ჩემს გულში საყვარელი რუსეთის სასახელო მწერალი ოსტროვსკისა, რომელიც ჩაძვრა მათს მკერდში და მთელი მათი გულის ნადები გააცნო ქვეყნიერებას...

უმთავრესი და უძვირფასესი მათი დროს გასატარებელი ადგილი არის „საყავო" თუ გინდათ მათი ნახვა, შედით საყავოში და თქვენ იქ აუცილებლად დაინახავთ მთელ ჯგუფს ალებ-მიცემობის წარმომადგენელთა, რომელნიც ან პრეფერანსში აგებენ და იგებენ თუმნობით ფულებს ან და თავს იქცევენ უზნეო ოხუნჯობით. თუ კი ყურს ათხოვებთ, ბევრჯელ გაიგონებთ რომელიმე მეპრეფერანსეს კინტოურ გინებას, რომელმაც
მანეთი ანუ ათი შაური წააგო
ხშირადაც მოწამე იქნებით მუ
კრივისა. წააგონ ერთდღეს ამ
მაშში ასი და ორასი მანეთი
მათთვის არაფერს არ ნიშნ
მხოლოდ დახარჯონ რომე
ჟურნალ-გაზეთის გამოსაწერა
ლიწადში ათი მანეთი—ეს მათ
დაღუპვაა. ისინი ღამურასებრ
რთხიან სინათლეს და არიან
ყოფილი მით, რომ განაგ
ბნელთა სამეფოს. გააცხადო
ბიბლიოთეკა-სამკითხველოზე—
ნებით მათგან ჯვარცმული ვთა
ცა ქრისტე, მხოლოდ იოხუჯ
რაიმე უზნეო ტემაზე, ანუ კან
ხალოთ სურვილი ნარდის ანუ
ტის თამაშისა—იშოვნით ბ
თანამგრძნობლებს და ამ თმა
თუ არ გაგლახეს რიგიანიკალ
ძლვა მაინც არ იგცილდებით.

აი, რა პირობებში იშვა ა
საზოგადო აფთიაქის მაღაზ
დაარსებისა! მოდი აქ და ნუ
ვირებ, ნუ ასტეხ აღიაქოთს,
შეაწუხებ ქვეყანას?! შეგიძლია
ისედაც მოიქცეთ, მხოლოდ
შემთხვევაში თქვენ აზრს თქ
უნდა უყოთ ექსორია და რა
ნაც ჩვენ ამას ფიქრშიაც არ გ
ტარებთ, ამისთვის იძულებ
ვართ ვიყვიროთ, ვიომოთ
ნასკნელ წერტილამდე, დავაყე
ძალა ძალის წინაამდეგ და
მაინც დამარცხებული ვიქნე
მაშინ ვიქმნეთ პანორამა და
მივი მხილებელი ბნელ მოქ
ბისა მათს ცხოვრებაში. .

როგორც სხვა ყოველის
—აფთიაქის მაღაზიის დაარ
საქმეც საყავოში წყდება. შ
ბიან აქ სათამაშოდ, თუ კ
სენდა ჩამოაგდებს ერთი რო
მე ამ ამბავს, მას ბანს
მეორე, მესამე, შეიქნება ერ
ყანი და აურ-ზაური, ს
ყველა ლაპარაკობს მაგას,
თუ იმის მეათედი შესრულ
ითქვა, ჩვენ ბედს ძაღლიც
დაჰყეფსო, მაგრამ რაკი
მიდგება, ყველანი აქეთ-იქ
მალებიან თითქოს მათ
ლეობა არ მიეღოთ იმ
ერთი ასეთი ყაყანიც ჩვე
ნასკნელი კორესპონდენ
კითხვის შემდეგ მოხდა
რის. სხვათა შორის, თავი
მეტყველობით თავი ისახ
უტაბახიამ. *) მან ბრძან
მითხარით, მე როგორ ვი
დი იქ მონაწილე
სადაც ისეთ მუშ
ლებს, რომელთაც
თი და ათი მანეთით
ბა მიუღიათო!" აფერ
რომ ასეთი ჭკვიანი დ

*) ეს ის უტა გაქლავა
გლახა სიზმარი ნახა.

მოვლინებოდი რა ეშველებოდა ამ ცოდვილ სამყაროს! მაშ შენის ფიქრით, თუ საწყალმა მუშამ თავისი უკანასკნელი წვლილი ხუთი მანეთი შეიტანა ამ საქმეში, იმასთან წვერად ჩაწერა თქვენ ალმატებულებას ჩირქსა სცხებს?! ნეტაი მას ვინც ასეთი სპეტაკი ღირსების კაცი იქნება, როგორიც ბრძანდება ჩვენი დიდად საიმედო უტა. მაგრამ ერთს ვკითხავ ბ-ნ უტას: როდესაც მან ხუთი თუმანი მოაწერა სიაზე და სადაც სიზმრის მეოხებით მეორე დილას ისევ უარი განაცხადა, მაშინ ხომ არ გვქონდა ჩვენ დაწყებული სოფლელები და მუშებში წევრების შოვნა? ან იქნება წინ-და-წინვე იგრძნო ეს უტამ თავისი დიდმნიშვნელოვანი სიზმარით?! აი, იღბალიც ამას ჰქვიან! ვინც ხართ ქვეყნათ ბედნიერების მაძებარნი მოდით უტასთან, აუხსენით თქვენი თავგადასავალი, ის იმავე ღამეს კარგათ გამოიძინებს და მეორე დღეს აგიხსნით თქვენი „ჯილიჯილი“ კარგი იქნება თუ არა.

დიდი უხასიათობა გამოიჩინეს ამ საქმეში ბ-ნ ს. ს—ნავა და კ. გ—ლიამ. პირველმა პირდაპირ უარი განაცხადა, დაპირების შემდეგ, მონაწილეობის მიღებაზე. ალბათ შინაურებისა თუ ეშინიან! მეორემ რაკი სიტყვა საქმეზე მიდგა, შემდეგი მიზეზი განაცხადა: „მე ჩემს ამხანაგს ვკითხე და იმან უარი მითხრა ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაზეო“. ოფერუე?! ბ-ნ გ—ლიას, რომელსაც რამდენიმე ათასი მანეთის ქონება აქვს თურმე, აპეკუნი ყოლია ამ სიბერის დროს და ხუთ თუმანს ანუ მის ნახევარს იმის დაუკითხავად ვერ დახარჯავს! ოღონდაც თქვენ ყოველისფერის აპეკუნი დაიყენეთ ბატონებო და "ბიზუმ იჩუნალლახ ქერიმ დურ!" უთქვენოდაც იოლად წავალთ.

დასასრულ წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ვინც ვერ შემოიტანს 25 მანეთს, მას ფული უკან დაუბრუნდესო. ამ პირობითო—თქვენ—საქონელს ამ ორ დღეში გამოვიტანთო.

ერთ დალაქს უთქვამს ავადმყოფისთვის: „მტკივან კბილს კი მოგაძრობთ, მაგრამ ყბა უექველად მოგტყდებათო“. აი, სწორედ ეს დალაქის სიტყვები ზედ გამოჭრილია მათ წინადადებაზე.

ღარიბ სოფლელმა, საწყალ მუშამ ხუთი-ათი მანეთით მიიღო მონაწილეობა და ეს საქმეც მათგან გამოღებული წვლილით იქმნა დაწყებული. დღეს ნაცვლად იმისა, რომ მადლობა გამოუცხადოთ, უნდა დაუბრუნდეთ თავიანთი ფულები მხოლოდ იმისთვის, რომ ბ-ნი უტა და მისი პარტია არ კადრულობს მათთან საქმის დაჭერას. არიან რა დარწმუნებულნი, რომ საწყალი მუშა 25 მანეთის შემოტანას ვერ შესძლებს—ამით სურს მათი განდევნა საზოგადო დაწესებულებიდგან. ამ საქმის ზედამხედველმა ყველას წინაშე დაადასტურა თავისი პატიოსანი სიტყვით, რომ ამ ორ-სამ დღეში მე გამოვიტან საქონლებსო. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ის აწი უარს არ ჰყოფს თავის პატიოსან სიტყვებს დიდად დაგვავალებდა მტკივან კბილს ისე მოგვაძრობდეს, რომ ყბა არ მოგვამტვრიოს, თორემ ეს ყველამ იცის, რომ მხოლოდ განრისხებულ კაპიტალს შეუძლიან განუვითარებელ უმრავლესობას პირში ბურთი ჩასჩაროს..

ავქსენტი გვათუა

## სამეურნეო ცნობა

### მოკლე დარიგება ვაზის მოშენებაზე და ღვინის დაყენებაზე.

(შემდეგი *)

ღვინის დაძმარება როდესაც ღვინით სავსე ჭურჭელში დანაკლულდება, მაშინ რაც ცარიელია ადგილი რჩება ქვევრში, ის ადგილი იმსება ჰაერით, რომელიც ღვინოს ზემოდან უჩენს პრკეს. პრკე ორნაირი თვისებისაა: ერთი თხელია, რომელსაც მეცნიერი პასტორი ერთგვარ სოკოს ათვლის, რომელსაც სახელად უწოდებს „მიკოდერმა ფინი“. თუ პატრონმა თავის დროზე არ უშველა ამისთანა პრკე მოკიდებულ ღვინოს, მაშინ ღვინო ჰკარგავს თავის გემოს და იზიდამს მომძმარო გემოს; რამდენიც ეს პრკე დიდხანს დარჩება ღვინოზე, იმდენი სქელდება და რამდენიც პრკე გასქელდება, იმდენად ღვინოც ძმარდება, ასე რომ მოკლე ხნის განმავლობაში ღვინო სრულებით ძმარდება; ამისთანა ღვინის დაძმარებულ პრკეს მეცნიერი პასტორი უწოდებს სახელად „მიკოდერმააცეტთ“ (micoderma aceta). ამ სენისაგან ღვინის გადარჩენა შეიძლება ამ გვარად: ღვინო არა დროს არ დაანარჩუნოთ ქვევრში ნაკლულად. ღვინით სავსე ჭურჭელი უნდა შეინახოთ გრილ და მშრალ სარდაფში *) რამდენიც ჭურჭელი დანაკლულდება, იმდენად ჭურჭელი უნდა გაავსოთ. ეს ავადმყოფობა უფრო უჩნდება თხელ და უღონო ღვინოს; რამდენიც ღვინოს მომეტებული სიმაგრე და სპირტი აქვს, იმდენად დიდხანს ინახება; რამდენიც ღვინო თხელია და მოკლებულია სიტკბოს და სპირტს იმდენად ღვინო მალე ფუჭდება.

ღვინის სიმწარე. ეს ავადმყოფობა უჩნდება ღვინოს, როცა იგი რჩება დაუდუღარი; მანამ ღვინო დამწარდება, მინამ მას ეკარგება ფერი, გემო და ბოლოს სრულებით მწარდება. ამ სენის მოსპობა შეიძლება, როდესაც ღვინოს მოუმატებთ იმ ნივთიერებას, რომელიც აკლია, ე. ი. სპირტს, ტანინს და შაქარს.

ღვინის გადაბრუნება. უფრო ხშირად გადაბრუნდება ხოლმე წითელი თხელი ღვინო, მეტადრე მაშინ, როდესაც ღვინო დიდხანს რჩება გადაუღებელი. გარდა ამისა გადაბრუნებით ფუჭდება იმისთანა ღვინო, რომელიც დაყენებულია დამპალ და უვარგის ყურძნით თუ სენი ძალიან არ არის მოდებული, მაშინ შეიძლება მისი გადარჩენა ამ წესით: აიღეთ ბოჩკა ანუ ქვევრი, კარგად უხრჩოლეთ გოგირდი, რადგანაც გოგირდის ძალა აქრობს სპობს იმ მიკროორგანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ღვინოს გადაბრუნებას და შემდეგ ღვინო გადაიღეთ ახლად მომზადებულ სუფთა ჭურჭელში

ღვინის მოლბობა. ეს სენი უჩნდება უფრო თეთრ ღვინოს, მომბალს ღვინოს ეკარგება ფერი და თანაც ზეთის გემოს დაჰკარგამს ხოლმე. გარდა ამისა ერთი ჭურჭლიდან მეორე ჭურჭელში გადადის სქლად ზეთივით; უფრო მოლბება ხოლმე ტკბილი ღვინო, რადგანაც ტკბილია შაქარი ხელს უწყობს ხელახლად დუღილს და ეს უკანასკნელი იწყებს ღვინის მოლბობას. აგრეთვე ღვინო მოლბება მაშინ, როდესაც რჩება დიდხნობამდის გადაუღებელი თბილ სარდაფში ან კიდევ როცა ჭურჭელი არ არის კარგად გარეცხილი. ამ სენის მოსასპობლად ღვინოს უმატებენ 20—30 გრამს ტანინს, მომატების დროს ურევენ სარცხით ან ჯოხით, ან სარევი მანქანით იმ დრომდე, ვიდრე ზეთის მგზავსი სქელი ღვინო არ გათხელდება. შემდეგ გათხელებული ღვინო გადაიღეთ გოგირდით ახრჩოლილ ჭურჭელში, სადაც შემდეგში უნდა დაიწმინდოს წებოთი. როცა ტანინი ვერას უშველის მომბალ ღვინოს, მაშინ ღვინოს უნდა მიუმატოთ წმინდა 90% სპირტი, რომელიც შეაჩერებს სენის გაძლიერებას.

არჩილ ღარეჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 921

*) ღვინის კარგა და დიდხნობამდის შესანახად, სარდაფში უნდა იყვეს თანაბარი სითბო ე. ი. ათ გრადუსიდან დაწყობილი თოთხმეტ გრადუსამდისინ ცელზისა.

## ყურმოკრული საუბარი

მასწავლებელი ასწავლის ერთს ოჯახში პატარა ბავშვს. გაკვეთილი არითმეტიკიდანაა.

— აბა, პეტრე, მიპასუხე რამდენი დაგრჩება შენ რომ ხუთი ატამი გქონდეს და მერომ ოთხი წაგართვა.

— მაშინვე დედას შევჩივლებდი ატმის წართმევისათვის...

## სხვა-და-სხვა ამბავი

ორი ათას მანეთად ღირებული კაცის შლიაპა. როგორც ვიწყით, ქალების შლიაპები გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე კაცებისა. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ის მრავალი ზიზილ-პიპილოები, ფრთები, მთელი ჩიტები და სხვა რამეებია, რომლებიც ზედა აქვს დამაგრებული ქალების შლიაპებს. მაგრამ კაცების ისეთი შლიაპებიც ყოფილა და არის, რომლებიც ხშირათ არამც თუ არ ჩამოუვარდება ქალის შლიაპებს, აღემატება კიდეც. ყველაზე უფრო ძვირი შლიაპა ჰქონდა ამერიკელ გენერალს გრანტს. ეს შლიაპა გრანტს მიართვეს საჩუქრად 1882 წ., როდესაც ის მექსიკაში იყო. ღირდა შლიაპა 2,000 მანეთად. ამ ჟამად ეს შლიაპა ვაშინგტონის საერთო მუზეუმში ინახება. მეორე ძვირი შლიაპა ამერიკელსავე ჰქონდა,—მისტერ ვილიამ სევარდს. ეს შლიაპა ღირდა 1,300 მ. დღეს სამხრეთ ამერიკის მილიონერები მი გვარ შლიაპებს ატარებენ, როგორც ამ სევარდს შლიაპა იყო. ასეთი შლიაპა იმდენად რბილი და სუმბუქია, რომ პატარა უბის ჯიბეშიაც კი თავისუფლად ჩაეტევა.

## წვრილი ამბავი

პოლიცია გამოფენისათვის. საფრანგეთის მთავრობა ეხლავე ზრუნავს, რომ მომავალ გამოფენისათვის განსაკუთრებული პოლიცია მოაწყოს და იქონიოს რაც ხანი გამოფენა იქნება. მით უფრო ზრუნავს ამისათვის მთავრობა, რომ ასეთს გამოფენაზე მთელის ქვეყნის გაიძვერანი, ქურდ-ბაცაცანი, ჯიბგირები და სხვა ამგვარის ხელობის ვაჟბატონები მოიყრიან ხოლმე თავს რათა არეულობის დროს თავისუფლად ინავარდონ და დაუსჯელად [illegible] სხვის ქონება თავიანთ ჯიბეში. საგამოფენო პოლიცია უნდა შესდგეს ინსპექტორისა, 10 პირველ ხარისხის პოლიციის მოხელისა ([illegible] 100 მეორე ხარისხის პოლიციის მოხელისა და 1000 პოლიციელებისაგ ([illegible]) ჯიბგირების შესაპყრობად და ამათზე თვალყურის საჭერ[illegible] სხვა კაცები იქმნებიან დანიშნულნი. როგორც გამოანგარიშებულია, მარტო პოლიციის შენახვას დასჭირდება [illegible] მილიონ ნახევარი ფრანკი.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ბლემფონტენი.** დეპეშით იუწყებიან, რომ ინგლისის ჯარი ორანჟეის რესპუბლიკის საზღვარს გადავიდაო.

**დურბანი.** ინდოეთიდგან მოვიდა ინგლისის გემი ჯარითა და საომარი იარაღით. მოვიდნენ აგრეთვე სანიტარებიც. ჯარი მაშინვე გადმოვიდა და გაუდგა გზას.

**კაპშტადტი.** როგორც სხვა-და-სხვა ცნობებიდგან სჩანს, უმთავრესი ძალა ბურებისა ნატალის მახლობლად, ტრანსვაალისა და ორანჟეის რესპუბლიკის შუა, აპირობს დადგომას.

**ნიუ-იორკი.** მაკ-კინლეის გადასცეს პეტიცია, რომელშიაც სთხოვენ ჩაერიოს ინგლის-ტრანსვაალის საქმეში და შუამდგომლობა გასწიოს.

**ლონდონი.** „Times“-ში დაბეჭდილია პრეტორიიდგან მოსული დეპეშა, რომელშიაც მოყვანილია კრიუგერის სიტყვა, წარმოთქმული საეროვნო კრებაზედ გარეშე ხალხის დაუსწრებლად. პრეზიდენტს უთქვამს, რომ ყველაფერი ომის მომასწავებელი არისო. ტრანსვაალის ერს სურს თითონ უპატრონოს თავის თავს და ათასი ვინმეც რომ თავს დაესხას მას, იმას არაფრის შიში არ აქვს, მიტომ რომ ღმერთი არის მსაჯული; ის დაადგენს განაჩენსო. ჯემსონი როცა თავს დაგვესხა, მაშინაც რამდენიმე ათასი ტყვია დახარჯეს, მაგრამ ბურგერებს არა დაშავებიათ-რა, მაშინ როდესაც მეორე მხარეს რამდენიმე ასი კაცი დაეცა ძირსო. ეს იმას ამტკიცებს, რომ ღმერთია ქვეყნის გამგეო. საეროვნო კრების თავმჯდომარეს უპასუხნია, რომ უმჯობესია აღარ ვიუვნეთ, ვინემ არავითარი მამული არა გვქონდესო, და ეხლა ომის მეტი სხვა აღარა დაგვრჩენიაო.

კაპშტადიდგან დეპეშით იუწყებიან, რომ ნატალის საზღვარზედ საქმის ვითარება იმდენად საშიშია, რომ მთავრობამ საჭიროდ სცნო შეეკითხებოდა სიმონსის ნავთ-სადგურის ადმირალს, თავისუფალია თუ არა კრეისერი „დორისი“ გენერალი უატი და 12 აფიცერი მოიყვანონ პირდაპირ დურბანშიო.

**ბრიუსელი.** სარწმუნო წყაროების ცნობებით, ლეიდს ამბავი მოუვიდა, რომ კრიუგერმა ულტიმატუმი გაუგზავნა სალისბურის, რომ ინგლისის ჯარი მოაშოროს ტრანსვაალის საზღვარს 48 საათის განმავლობაშიო. ეს ამბავი ოფიციალური არ არის. როგორც ისმის, ულტიმატუმი ორშაბათს გარდაუციათ. ის თუ მხედველობაში არ იქმნა მიღებული, ტრანსვაალი ხუთშაბათს შეუდგება სამხედრო მოქმედებასო.

**პარიზი.** ბერანჟეს მოლაპარაკება ჰქონდა პოლიციის პრეფექტთან და სამოსამართლო გამომძიებელთან შეთქმულობის შესახებ, რომელიც გამოაშკარავენა ბერტოლ გრევილმა „Etoile Belge“-ში. ჰფიქრობენ, რომ კიდევ ბევრს გაუჩხრეკენ სახლებს და დაატუსაღებენო.

**სიმფეროპოლი.** ოლქის სასამართლოში გაირჩა საუცხოვო საქმე ოსმალელ სომხის კრიკორის მიერ სიმფეროპოლში ოსმალეთიდგან მოსულ ოსმალეთის ქვეშევრდომ ხასანის მოკვლის შესახებ. უკანასკნელს დაუხოცია აზრუმის ოლქში სომეხ კრიკორის მთელი სახლობა ოსმალების მძვინვარების დროს. ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს სიმფეროპოლში. ნაფიცმა ვექილებმა გაამართლეს ბრალდებული.

---


# СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ

**ОБЩЕДОСТУПНЫЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ**

**Въ годъ 52 №№ журнала и 12 книжекъ библіотеки «СПУТНИКЪ ЗДОРОВЬЯ».**

**Подписная цѣна** съ пересылкой и доставкой: въ годъ 5 руб., на года 3 руб., За границу 8 р.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА:**

съ 1-го Августа по 1-е Января 1900 года со всѣми приложеніями- руб. съ пересылкой.

За всякую перемѣну адреса—50 к., можно марками.

За объявленія: за строку петита въ одинъ столбецъ по 30 коп. (з столбца на страницѣ).

**ЦѢНА ОТДѢЛЬНАГО НОВЕРА 15 КОП.**

Подписка принимается въ конторѣ журнала, С.-Петербур Невскій. 148.

**Въ жлрналѣ принимаютъ участіе:** В. А. Анзиміровъ.—И. А. Б женовъ.—Проф. Н. И. Быстровъ.—Д-ръ В. М. Бурлаковъ. Проф. А. Я. Данилевскій.—Проф. В. П. Доброклонскій. Проф. Г. А. Донбергъ.—Д-ръ А. О. Дукатъ.—Пр. доц. В. Жуковскій.—Проф. С. І. Залесскій.—Д-ръ М. Д. Ильинъ Д-рь В. ф. Краевскій.—Проф. П. ф. Лесгафтъ.—Проф. Е. Павловъ.—Проф. В. В. Подвысоцкій (Кіевъ).—Проф. А. Пель.—Д-ръ В. И. Раммъ.—Проф. И. А. Сикорскій (Кіевъ) Проф. И. Ц. Скворцовъ (Харьковъ).—Академикъ Князь И. Тархановъ.—Д-ръ А. Н. Шабанова.—Д-ръ Б. Е. Шэхтеръ и

**Подписка на 1899 годъ продолжается.**

Всѣ вновь подписавшіеся на 1899 годъ получатъ журналъ всѣми безплатными приложеніями съ 1-го Ноября 1898 г. по 1-е Января 1900 года, т. е. 60 нумеровъ журнала и ежемѣсячныхъ безплатныхъ книжекъ.

---

მიაქციეთ ყურადღება ამ მართლაც და საყურადღებო განცხადებას!

ყველასათვის საინტერესოა, ხოლო განსაკუთრებით

**პროვინციელ ქალებისა და ვაჟებისათვის**

**100** სადარბაზო ბარათი (Визитныя карточки)

**100** ფოსტის ქაღალდი (Почтовыя бумаги)

**100** მათივე კონვერტი (Почтов. конверты)

ვინც მოისურვებს, რომ ფოსტის ქაღალდზე ან სადარბაზო ბარათზე მისი სურათიც ყოფს აღბეჭდილი, იგი ზემოხსენებული 3 მან. გარდა, კიდევ 3 მან. უმატებს.




მსურველნი მიმართავენ: ტფილისში ვ. გუნიას სტამბას.
Тифлисъ, Дворцовая ул. Типографія В. Гуніа.